

# ესტონეთში ნარჩენების მართვა

ფასი 1 ლარი

№12

1 - 8 აპრილი

2019 წელი


გაზეთის საგზაოპრობით

**რას ვერ  
იყოფენ  
კორსანტია  
და  
მომავტრეები?**  
33. 3

**ფოთის  
სამომობიარო  
სახლი  
ლიცენზიის  
ბარეზე  
დარჩა**  
33. 3

**ყოფილი  
უშიშროების  
შენობა  
ქალაქს  
დაუბრუნდება?!**  
33. 4

**შენ ჯერ ემ არ  
ბინახავს?**



ამ გვირგვინი ჩვენ  
www.msnews.ge

## ფოთის ფეხბურთის სტადიონი ისევ კაპატიის თავად იქცა



თქალე მატკაპა  
ფოთი

საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაცია სწორედ ფოთიდან დაიწყო. ფოთელებისათვის საყვარელი ფრანზა გახლავთ „ფოთი ფეხბურთის აკადემია“, თუმცა, ფოთელი ფეხბურთელებისთვის, სამწუხაროდ, „აკადემია აღარ ირწევა“. პოლიტიკოსები ხშირად საუბრობენ ფეხბურთის განვითარებაზე, რეალურად კი არა განვითარება, არამედ სულ უკან მიდის ფოთში ამ სპორტის საქმე.

განვითარების პერსპექტივებზე საუბარი ზედმეტია, რადგან ფეხბურთელებს თამაშებისთვის ნორ-

მალურად მოსამზადებელი პირობები არ გააჩნიათ და ასე გრძელდება, უკვე წლებია. უპირველესი გახლავთ სტადიონი, რომლის მშენებლობა 2013 წლიდან დაიწყო. მისი რეაბილიტაციისთვის გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩაიშალა. კონტრაქტორმა ფირმებმა ავანსის სახით თანხა წინასწარ აიღეს, ტენდერით დაკისრებული მოვალეობები კი ვერ, ან არ შეასრულეს. ფოთის მერიას და აღნიშნულ კომპანიებს შორის დავა სასამართლოში გრძელდება. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ თოდუას თქმით: „ამ ობი-

დასასრული 2-33.

**რეპრესირებული  
ოჯახის შთამომავლები  
სახელმწიფოს ედაუებიან**

33. 5

**საქართველოსგან  
ბანსხეპეებით,  
ესტონეთში  
ფარმერობა დიდი  
მომგებიანი  
საქმიანობაა**

**სპორტი**

33. 7

33. 6

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი ინგა გვასალია - 599 341 417; ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი: მაია ჩხეიძე 551 522 429- კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

თეკლა მატკაია (ფოტო) 568 74 41 12

ივეტა პაჭკორია (ხობი) 597 97 76 18

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუცილო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# ფოთის ფეხბურთის სტადიონი ისევ კაპატიოს თეატრალურად იქცა

## დასაწყისი პირველი გვირგვინი

ექტზე სამი კონტრაქტორი კომპანია მუშაობდა. პირველს არაკეთილსინდისიერი საქმიანობისთვის ჩვენ დისკვალიფიკაცია მიეცა. მეორე კონტრაქტორსაც იგივე მოუწია. დავა სასამართლოში გრძელდება. შპს "ნიუქონტრაქშენმა" ბიუჯეტს 468 ათასი ლარი უნდა დაუბრუნოს, ხოლო შპს "ხილმა" - 510 ათასი ლარი. მე-სამე კომპანია "ელიტა ბურჯი" მოვალეობის შესრულებას სერიოზულად შეუდგა. ამჯერად სამუშაოების შესასრულებლად 1 მილიონ 870 ათასი ლარი დაიხარჯა.

მეშვიდე წელია, სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. დამთავრდა ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავდა 1700 მაყურებელზე გათვლილი დასავლეთ ტრიბუნის გაკეთებას, რომელიც ლიონის კონსტრუქციით გადაიხურა. მოეწყო შიდა და გარე კომუნიკაციები, გასახდელები, საშხაპეები, სველი წერტილები, საკონფერენციო დარბაზი, ექიმისა და დოპინგ-კონტროლის ოთახები, მაგრამ შესრულებული სამუშაოების ხარისხსა და სტანდარტებთან შესაბამისობას, ადგილობრივი ოპოზიცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ყველაზე დიდ კრიტიკას ფეხბურთელებისთვის განკუთვნილი სამუშაოები იწვევს. სტანდარტებზე საუბარი ზედმეტია, შეუთარღლებელი თვალთვალ ნათლად ჩანს ხარვეზები - ძალიან მოუხერხებელი, ვიწრო

და დაბალი საშხაპეებია გაკეთებული ფეხბურთელებისთვის. „თავიდან ბოლომდე მიუღებელია ეს პროექტი. საშხაპეები კატასტროფაა. ამ საშხაპეში ფეხბურთელი სრიალით შევიდეს? უნდა გაისაპნოს და ისე შესრიადდეს, სხვანაირად ვერ შევა. სპორტსმენებისთვის 4 საშხაპეა გაკეთებული, როდესაც 11 მოთამაშეა გუნდში, რიგრიგობით უნდა მოიწესრიგონ თავი? ესაა დილატი. როდესაც საუკუნის პროექტი ხორციელდება, ხელისუფლება ვაღდეზუღია, მივიდეს და გააკონტროლოს, რა როგორ კეთდება. ეს ბიუჯეტის ფლანგვაა და სხვა არაფერი. ეს არასახელმწიფოებრივი ქმედებაა“- განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ დარეჯან ცხვიტარიამ.

სტადიონის პროექტის ცვლილებებზე ამხვილებს ყურადღებას ოპოზიციონერი დავით ხომერიკი. იგი თვლის, რომ ამ სახით სტადიონის ჩაბარება არ შეიძლება: „რამდენად პასუხობს ეს სტადიონი უფასო სტანდარტებს, ამას ვეღარავინ გადაწყვეტს. ყურადღება გასამახვილებელია იმაზე, რომ პროექტში ორჯერ შევიდა ცვლილება და რა ხარვეზები დატოვეს, ყველა კარგად ხედავს. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს პროექტანტის ბრალია, თუ მშენებლის, რომელმაც ვერ დაიცვა პროექტის ნორმები. სტადიონის ამ სახით ჩაბარება შეუძლებელია. უბრალოდ, აღმოვჩნდებით კომიკურ მდგომარეობაში“.

ადგილობრივი ხელისუფლე-



ბის წარმომადგენლებიც არ უარყოფენ სტადიონზე არსებულ ხარვეზებს, რომელიც შესაბამისმა კომისიამ გამოავლინა. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები არიან. დასკვნის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სტადიონი არ დააკმაყოფილებს არსებულ სტანდარტს, მიეცემა ვადა მშენებელს მშენებლობის დროს დაშვებული ხარვეზების გამოსწორება: „შენიშვნები თავისთავად გამოსწორდება, როდესაც დაიწერება. ადგილობრივ ხელისუფლებასაც ვაპქვს შენიშვნები. შევჯერდებით და მივცემთ ვადას მშენებელს ხარვეზების გამოსწორებად. საბოლოოდ, უნდა მივიღოთ ის, რაც ქალაქს, ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს, ფეხბურ-

თის განვითარებას ჭირდება“- გვითხრა ვიცემერმა კოტე თოფურია. სტადიონის მოვლა-პატრონობასა (ა)იპი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება უზრუნველყოფს. ფოთის „კოლხეთმა“ აღნიშნულ გაერთიანებას სტადიონი, ფინანსური პრობლემების გამო, მიმდინარე წლის პირველ იანვარს გადასცა. სტადიონის სრულყოფილად დასრულებისათვის კიდევ სამი ტრიბუნის აშენება, სტადიონის ეზოსა და პარკინგების კეთილმოწყობაა საჭირო, რაზეც 5 მილიონ 413 ათასი ლარი უნდა დაიხარჯოს. მერიის ინფორმაციით, აღნიშნული თანხა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოიყოფა. ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

# პიღროველიოროკასიული შენობის რეაბილიტაცია იწყება მითი თუ რეალობა

## თეატრალური ფოთი

ფოთის პიღროველიოროკასიული სასწავლებლის ყოფილი შენობის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაციამ საზოგადოებაში დიდი სიხარული გამოიწვია. ყველა ერთად თანხმდება, რომ ეს იქნება ქალაქის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯი. თუმცა, რეალობის გათვალისწინებით, იქვე იბადება კითხვა – რამდენად რეალურია, წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული უძველესი შენობის გარემონტება-ადგენა.

აღნიშნული შენობა გასული საუკუნის 40 – იანი წლების ბოლოს აშენდა ლადიძის არქიტექტურით. აქ ჯერ პიღროველიოროკასიული ტექნიკური, მოგვიანებით კი კოლეჯი ფუნქციონირებდა. უფრო მოგვიანებით კი თემურ ფაჩულიას თაოსნობით სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალი გაიხსნა.

თემურ ფაჩულიამ ჩვენთან საუბარში როგორც აღნიშნა: „არა მხოლოდ შენობის რეაბილიტაციის საკითხი უნდა დადგეს, არამედ ფოთს უნდა დაუბრუნდეს უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენს ქალაქში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლები არამარტო საქალაქო დანიშნულებისა გახლდათ, არამედ იყო რეგიონული და აღნიშნულების და ზრდიდა კადრებს მთელი დასავლეთ საქართველოს და სხვა რეგიონისათვის. დღეს ეს საუკუნოვანი უნიკალური ნაგებობა მიწასთანაა გასწორებული. სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ ქალაქმა ვერ მოუარა მას. ჩვენ ვაპირებდით ფილიალის განვითარებას, მაგრამ იმ დროს ფოთში ხელის შემშლელი



ფაქტორი მეტი იყო, ვიდრე ხელშეწყობი. მოხდა ისე, რომ მატერიალური ბაზის გამყარება ვერ მოხერხდა. თან, სააკაშვილმა მოსვლისთანავე 2007 წელს ფოთში დახურა ეს ფილიალი. ეს იყო დიდი შეცდომა, რამაც გამოიწვია ინტელექტუალური დონის ჩავარდნა, დაიწყო სტუდენტური მიგრაცია, ახალგაზრდების გადინება“.

„მთავარი თემა სამეგრელოში“ დაინტერესდა რამდენად რეალურია, წლების განმავლობაში ადამიანების მიერ გამოცვეული და „ხოჩხად“ ქვეყნის შენობის რეაბილიტაცია, თუ ეს მხოლოდ პოლიტიკური ქულების დაწერის მორი-

გი ხერხია და ისევ იმედაცრუება გველის. როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში გვეუბნებიან, „ამჯერად“ საკითხს სერიოზულად მიუდგინენ და ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად მოაგვარებენ.

ფოთის ვიცე-მერი, კოტე თოფურია როგორც ამბობს, შენობის რეაბილიტაციამდე აუცილებელი იყო ფუნქციის მინიჭება მისთვის: „დღესაც არ ვიცი, რა კონკრეტული თანხაა საჭირო რეაბილიტაციისათვის. ეს ჩვენი კომპეტენცია არაა. ეს გახლავთ იმ საპროექტო კომპეტენცია, რომელმაც უნდა დააპროექტოს შემდგომ შენობა. გუბერნატორთან ერთად საუბარი დავიწყეთ განათლების სამინისტროსთან,

რა ფუნქცია შეგვეძინა შენობისთვის, უფუნქციოდ მის ადგენას აზრი არ აქვს. ამიტომ გამოინახა გზა, რომ ქალაქს დაბრუნებოდა სასწავლებელი, კერძოდ, საუბარია ნაოსნობის უმაღლესი სასწავლებელზე. მოგესხენებათ, საქართველომ აიღო ვალდებულება, ჰქონდეს საკუთარი ფლოტილია, არასახელმწიფო, არამედ იმ თურქული გემების, რომლებიც არიან დაკავებული თავიანთი კერძო ბიზნესით. ისინი დაავალდებულა, 5 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად მომსახურე პერსონალი ჩაანაცვლონ ქართველ-

# რას ვერ იყოფენ კორსანთი და მოვაჭრეები?

## ივანე პაჭკორია ფოთი

მუდმივი აქტიულობის ეფექტს არ კარგავს ფოთის აგრარულ ბაზარში არსებული პრობლემები. გასული კვირა საპროტესტო აქციებით გამოირჩა. ჯერ ფრინველებით მოვაჭრეებმა აქცია გამართეს და საავტომობილო გზა გადაკეტეს. მათ ბაზრის ადმინისტრაციისა და ზედამხედველობის სამსახურის ის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რომლის თანახმადაც, მოვაჭრეებმა ის შენობა უნდა დატოვონ, სადაც ვაჭრობდნენ. საავტომობილო თევზის საავტომობილო გზის მიხედვით მდებარეობს. ამ ადგილას ისინი ბაზრის ადმინისტრაციამ ერთი წლის წინ გადაიყვანა, როგორც შედარებით მოწესრიგებული ადგილი. ზედამხედველობის სამსახურის უფროსი დავით ჯგერენია კი ამბობს, რომ „სურსათის უვნებლობის სამსახურმა“ აკრძალა იქ ფრინველებით ვაჭრობა: „ჩვენ მათ გამოუვებნეთ ალტერნატიული ადგილი და შეუძლიათ იქ გადავიდნენ, მაგრამ მათ ის ადგილი არ მოსწონთ. ორი თვის წინ მიიღეს გაფრთხილება ტერიტორიის გათავისუფლების შესახებ“.

მოვაჭრეები ადმინისტრაციისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ შეთავაზებულ ფართს არ თანხმდებიან, რადგან, როგორც ამბობენ, ფართი მათთვის მისაღები არ არის - „თუკი იმ ადგილას შეიძლება ვაჭრობა, რატომ გამოვკეცხვებ? ეს საქმიანობა ერთადერთია, რითაც თავის რჩენა შეგვიძლია“ - ამბობს ერთ-ერთი მოვაჭრე. „გვეუბნებიან, სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდესო. აღ-

ტერნატიულ პრობლემებს კი არ გვთავაზობენ. ამიტომ, აქ ქუჩაში დაგვდებით. როგორც ჩანს, ვერც მერია გამოყოფს ჩვენთვის ადგილს და ვერც ბაზრის დირექცია. ჩვენი მოთხოვნაა - ადგილამდე დაგვტოვონ აქ ვაჭრობის ნება. შემდეგ დროებით გადავალთ იქ, სადაც გვეტყვიან და შენობის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, ისევ უკან დაგვბრუნდებით. ჩვენმა ბრძოლამ შედეგი უნდა გამოიღოს, არ გავწერდებით და გავაპროტესტებთ“ - გვითხრა გულნარა შამანაძემ. ბაზრის დირექციის განმარტებით, სურსათის უვნებლობის სააგენტოს ქონდა შენიშვნები ე.წ. „საქათმესთან“ მიმართებაში: „სურსათის უვნებლობის სააგენტომ მოგვცა მითითებები და კატეგორიულად გადავფრთხილდა, რომ აღნიშნული საქმიანობა არ აკმაყოფილებს სტანდარტებს და დაგვეხურა. თანაც იქ იყო ანტისანიტარია. იქვე კლავენ ფრინველებს რეალიზებაც იქვე ხდება. ვითხოვდით, მოერეცხათ იქაურობა და დაეცვათ სისუფთავე, რასაც ვერ მივაღწიეთ მიუხედავად ჩვენი ყოველდღიური მოთხოვნისა. ქონდათ უფასოდ წყალი, მხოლოდ სისუფთავის დაცვა ვვალდებოდით, ამასაც არ აკეთებდნენ, რომლის შემდეგ გადავუკეტეთ წყალი. თუ რა მდგომარეობაც სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლებს დახვდა იქ, ეს ცალკე საუბრის თემაა. რომ იძახიან, ადგილამდე დავრჩებითო, ეს როგორ გამოვა? მე ხომ ჯარიმები დამეკისრება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არაერთხელ მომაყენა ზიანი. შარშან, ახალ წელს მომინგრის რესტორნის და საქათმის



ნაწილი. ჯერ ამაშენებინებენ, შემდეგ დამანგრევენივან, ამდენი ხარალის შემდეგ კიდევ ახალი ჯარიმები ვისაღო? მათ აქვთ გამოყოფილი ფართი, გადავიდნენ დროებით იქ, გავარემონტებთ ამ ფართს და თუ სურვილი ექნებათ, გადმოვლენ ისევე. ცალკე სტანდარტების შესაბამისი ფრინველების სასაკლაო გასაკეთებელი“ - გვითხრა შპს „კორსას“ დირექტორმა ნოდარ კორსანტიამ. კორსანტიას ნათქვამის არ სჯეროდა მოვაჭრეებს და აღნიშნული შენობის წინ, ქუჩაში განაგრძობენ ვაჭრობას. ამ ინციდენტს წინ ვერეთვლილებული „მასაის“ მოვაჭრეების პროტესტი უძღოდა, რაც გამოიწვია ბაზრის ადმინისტრაციისა და ზედამხედველობის სამსახურის

წარმომადგენლების მოთხოვნამ, შეემცირებინათ მალაზიების წინ ფარდულის ზომა. წლებია, ქალაქის ზედამხედველობის სამსახური გარე ვაჭრობის მოწესრიგებას გვემავს, თუმცა დაგეგმილი პროექტის ხანგრძლივობა სულ რამდენიმე დღეს უძღვება. შემდეგ მოვაჭრეები კვლავ უბრუნდებიან ძველ ადგილს - ბაზრის შიდა პერიმეტრი იქნება ეს, ქუჩა თუ რიონის სანაპირო. მიზეზად ადილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზოგიერთი მოვაჭრის მიმართ გამოჩენილ ლოიალობას ასახელებენ. ბაზრის შიდა გზის მოწესრიგების აუცილებლობას, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე მოვაჭრეებიც ეთანხმებიან. მოვაჭრეებსა და კორსანტიას შორის დავის ერთ-ერთი საგანი - ფარდული, დადგენილ

ნორმას 50 სმ სცდება, სწორედ ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მისულ ბაზრის ადმინისტრაციას დაუპირისპირდნენ მოვაჭრეები, შემდეგ მერთან შეხვედრის მოთხოვნით მერიის შენობის წინ საავტომობილო გზის გადაკეტვაც სცადეს, თუმცა სამართალდამცვეებმა აქცია მაღევე დაშალეს. აქციის მონაწილეებს მერის მოადგილეები და საკრებულოს თავმჯდომარე სხდომათა დარბაზში შეხვედნენ. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით ხორციელდება. ზოგიერთ მოვაჭრეს პროექტით გათვალისწინებული საზღვარი დარღვეული აქვს, ბაზრის ცენტრალური გზა კი

დასასრული 4-33.

# ფოთის სამშობიარო სახლი ლიხაენზიის ბარეშე ღარჩა

## თაქლა პაჭკია ფოთი

ფოთში სამშობიარო სახლის გაუქმებამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, ჩვენი თანაქალაქელების გარკვეული ნაწილი კარგახანია უნდობლობას უცხადებს ქალაქის ერთადერთ სამშობიაროს და სამშობიაროდ ახლომდებარე ქალაქში მიდიან, მაგრამ თავისთავად ფაქტი, რომ ქალაქს სამშობიარო სახლი არ აქვს, კიდევ უფრო აკინებს ფოთის იმიჯს და დიდ პრობლემას უქმნის ოჯახებს, რომლებმაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა სხვა ქალაქში წავიდნენ სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ასევე, არსებობს რთული სიტუაციები, როდესაც პაციენტის ტრანსპორტირება შეუძლებელია, როცა დედისა და ბავშვის სიცოცხლე წუთებზე დამოკიდებულია და სხვა გაუთვალისწინებელი საფრთხეები. ფოთის სამშობიარო სახლის, რომელსაც 100 წლიანი ისტორია აქვს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, კერძოდ სამედიცინო განყოფილებას საქმიანობის უფლება 2019 წლის 15 თებერვალს შეუჩერეს. მიზეზად სტანდარტებთან შეუსაბამო პრობლემები დასახელდა. სამშობიარო სახლის დირექტორის განმარტებით, საუბარია სახელმწიფო რეგულაციებსა და მიდგომებზე: „ამჟამად მიმი-

ნარეობს სამინისტროს მიერ პერინატალური რეგიონალიზაცია, რაც გულისხმობს დაწესებულებების ტექნიკური და ფუნქციური შესაძლებლობების მიხედვით „ა, ბ, გ“ ღონეებზე დაყოფას, რაც - ამცირებს დედათა და ბავშვთა ავადობის, სიკვდილიანობის შემცირებას. როგორც აღმოჩნდა, ახალშობილთა სარეანიმაციო განყოფილება და მშობიარეთა საწოლი არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამიტომ, რეგულირების სააგენტომ შეგვიჩერა ფუნქციონირების უფლება და მოგვცა სამი თვე ხარვეზის გამოსასწორებლად“ - გვითხრა ნანი მორგოშიამ. ხარვეზების გამოსწორებას კი საკმაოდ სოლიდური თანხები სჭირდება, რაც სამშობიაროს შენობის მფლობელებს არ გაანინათ და ინვესტორის ძიებაში არიან. „ფინანსების მოძიება გვეჭირდება სტანდარტებით გათვალისწინებული ინვენტარის შესაძენად, რათა შევძლოთ ისევე განაცხადის გაკეთება, მოვიპოვოთ დონე და შევძლოთ ისევე ამ შენობაში ჩვენი საქმიანობის გაგრძელება, რასაც წლების განმავლობაში ვაკეთებთ. მით უმეტეს, როდესაც ამ შენობას 85 წლიანი გამოცდილება აქვს ამ კუთხით, პრეტენზია გვაქვს „ბ“ კატეგორიაზე, „ა“ კატეგორია სირცხვილია ფოთისთვის“ - ისაუბრა სამშობიარო სახლის დირექტორმა ნანი მორგოშიამ.

ქრონოლოგიურად მივეყვით თუ რატომ გახდნენ სამშობიარო სახლის 100 %-იანი წილის მფლობელები ექიმები. 2002 წელს საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა სამშობიარო სახლი. როგორც დირექტორი ამბობს, იმ პერიოდში ძალიან გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება, თავად შეეძინათ ქალაქში არსებული ერთადერთი სამშობიარო, რომ თავდაც უსამსახუროდ არ დარჩენილიყვნენ და ქალაქიც გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინათ. დღეს სამშობიარო სახლს 42 მეწილე ჰყავს. თუმცა, მწარე რეალობა წლების მერე მაინც დადგა. „ჩვენი სურვილის მიუხედავად მივიღეთ გადაწყვეტილება. იმ დროს შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ არჩევანის წინაშე დაგვაყენეს. მართალია, გვირდებოდნენ, რომ ათი წელი სამედიცინო პროფილს არ შეცვლიდნენ, მაგრამ გადავწყვიტეთ, ჩვენ თავად გვევლინებოდა შენობისთვის. ასე, რომ არ მოვკვდილიყავით, გაიტანდნენ აუქციონზე შენობას და დავრჩებოდით უსამსახუროდ“ - გაიხსენა მორგოშიამ წარსული. სამშობიაროს დირექტორი იმასაც გვიმხელს, რომ გაუმდგომარეობის მიზეზების ძიებაში იყვნენ, რათა საავადმყოფოს სტანდარტებით აღჭურვა შესძლებოდათ, მაგრამ არაფერი გამოჩნდა ასეთი: „დაახლოებით ორი წელია ვეძებთ ინვესტორს. შენობა ძალიან დიდია, ითხოვს დიდ ფი-



ნანსებს. მითუმეტეს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ესეც ქმნის ცალკე პრობლემას, როდესაც ინვესტორი მოდის“. მხელა განსჯა, ვისი ბრალია ქალაქის სამშობიარო სახლის გარეშე დარჩენა. შენობა კერძო საკუთრებაა და ადგილობრივი ხელისუფლებას კერძო საკუთრების მართვაში ჩარევის უფლება არ აქვს. თუმცა, ეს მწირი ფაქტი არ გახლავთ მიზეზი, რომ ხელისუფლებამ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად ხელი არ გაანძვიროს. სამშობიარო სახლის დირექტორი ამბობს, რომ მათ

მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლებას, რომელმაც სამინისტროსთან იშუამდგომლა, რომ შეიქმნას მუნიციპალური პროგრამა, რის საფუძველზეც შესძლებს მერის დახმარების სამშობიარო სახლს ფინანსურად. ამ ეტაპზე კი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობით, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ფოთის ცენტრის მიერ მობილიზებულია ბრიგადები, რათა დროულად მოახდინონ ორსულთა ტრანსპორტირება უახლოეს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებამდე.

# რას ვერ იყოფენ კორსანტია და მოვაჭრეები?

## დასაწყისი 3-33.

ქალაქის საკუთრება და უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, ის აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს.

„წესრიგში უნდა მოვიყვანოთ ქალაქის ტერიტორია. აგრარულ ბაზარში არსებული გასაყვანი ქალაქის საკუთრება. ვცდილობთ, ეს გზა მოვაწესრიგოთ და დავიცვათ ყველა ის ნორმა, რომელიც ეხება უსაფრთხოებას და გადაადგილებას. აქ საპროტესტო არაფერია, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ქალაქისა და ბაზრის იერ-სახე მოწესრიგდეს“ — აღნიშნა მერის პირველმა მოადგილემ კოტე თოფურია.

მოვაჭრეების პროტესტი ასევე გადახურვას უკავშირდება: „მდაბნობს, რომლებსაც აქვთ გადახურვა, გვეუბნებიან ჩაჭურითო. არადა, ეს გადახურვა მერიის პროექტის მიხედვით გაგაკეთებ და ძალიან დიდი თანხა დაგვიჯდა. ახლა გვეუბნებიან ჩაჭურითო. მათი მოთხოვნა უსაფუძვლოა. თავის დროზე რა სახდურებიც მიგვითითეს, იმ სახდურებში ვართ ჩატყული. მოვედით გასარკვევად, თუმცა პასუხი ვერავინ გვაძოვა. არ ვაპირებთ პოზიციების დათმობას, აქციებს ვაგმართავთ“- განაცხადა აქციის მონაწილემ.

მოვაჭრეებისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვს შპს „ლუკას“ ხელმძღვანელ ნოდარ კორსანტიას: „ერთი კვირის წინ დამიბარეს მერიაში და მითხრეს, მომეწესრიგებინა ეს პრობლემა. უფრო ადრე იმიტომ ვერ შევქმელი, რომ არ ვიცოდი, რამდენი სანტიმე-

ტრი იყო ნორმა და რამდენი სანტიმეტრი უნდა ჩამომეჭრა. ფარდული სტანდარტების დაცვით გაგაკეთება ხელა ჩვენივე ხარჯებით მოვჭრით და დავაპატარავებთ. ის კიბე და ფარდული, რომელზეც დავობენ მოვაჭრეები, ჩემია. საკადასტრო კოდიც მაქვს მონიჭებული, ყველა გადასახდელს, მიწის იქნება თუ ქონების, ჩვენ ვიხდით 1998 წლიდან. მოვაჭრეებს ეჭვი შეეპარათ და სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე უკანონობას აქვს ადგილი ჩვენი მხრიდან. მართალია, ჯერ სასამართლო განხილვა არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე მქონდა მსგავსი პრეცედენტები, როდესაც ქირიამ იჩივლა, მაშინ სასამართლომ გაგვამართლა“.

მერიაში მოსული მოვაჭრეების ერთ-ერთი მოთხოვნაც სწორედ ფარდულების დაპატარავების ხარჯებიც იყო: „ჩვენ ბაზრის ტერიტორიის მოწესრიგების წინააღმდეგ არ მივდივართ, მაგრამ თავიანთი ხარჯებით მოავარონ ეს პრობლემა. ჩვენ იმხელა ხარჯები გვაქვს გაწეული და კიდევ რატომ უნდა დავიხარჯოთ?“- აცხადებდნენ მერიაში შეკრებილი მოვაჭრეები.

კორსანტიას განმარტებით, „პასუხის“ ფარდული თავიდან ბრეზენცის იყო და სტანდარტების შესაფერისი გაკეთება გადაწყვიტეს: „მოხდა შეცდომა, რის გამოსწორებაც ახლა ვფიქრობთ. მე არაფერში არ მიშლის, არც ბიზნესში და არც არაფერში, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით ამ ზომების გატარება აუცილებელია. გასსოვივს, ცოტა ხნის წინ ხანძარმა რა ზარალი მიაყენა მოვაჭრეებს. რამდენადაც ვიცი, ყველა თანხმდება იმაზე, რომ უსაფრთხოე-



ბის სტანდარტები უნდა იქნეს დაცული. არ მესმის ამ აურზაურის მიზეზი“. არქიტექტურისა და ხელამხედველობის სამსახურის უფროსი დავით ჯგერენაიაც ამბობს, რომ აუცილებელია ბოლოსდაბოლოს მოწესრიგდეს ბაზრის მიმდებარე ტერიტორია და ყველანაირი უსაფრთხოების ზომები დაცვან: „შარშანდელი ხანძრის შესხენება არა მგონია საჭირო იყოს. იმიტომ, ისევე და ისევე ბაზრის მოვაჭრეების დაცვის მიზნით, კეთდება ეს ყველაფერი. ამხუდროს, უნდა დავიცვათ ქალაქის იერ-სახეც. ვთანამშრომლობთ სამართალდამცავებთან და იმ შემთხვევაში, თუ გარემოვაჭრეები საკუთარი ნებით არ დატოვებენ ტერიტორიას, იძულებით გადაამისამართლებიან სხვა ტერიტორიაზე. რაც შეეხება ფარდულის სიგრძეს, რა-

ხელაც დავობენ დღეს მოვაჭრეები, დაშვებულ სტანდარტს 50 სმ სცდება“. ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მოვაჭრეებმა პროტესტი შეწყვიტეს, რადგან, როგორც ამბობენ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები გრძელდება და შედეგის იმედი აქვთ. მერიის ხელამხედველობის სამსახურის უფროსის დავით ჯგერენაიას თქმით, მოლაპარაკების შედეგად ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომ არცერთი მხარე დაზარალდეს: „კიდევ ერთხელ დავსხდებით, დავილაპარაკებთ და ერთობლივ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ისეთს, რომ ამით არავინ დაზარალდეს“. მოვაჭრეები მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საპროტესტო აქციების გაგრძელებით იმუქრებიან.

# ყოფილი უშიშროების შენობა ქალაქს დაუბრუნდება?!

## ივანე აპაქორია ფოთი

ფოთი გამორჩეულია არა მხოლოდ როგორც უძველესი საპორტო ქალაქი, არამედ დანგრევის პირას მისული, კულტურული და სხვადასხვა ფუნქციური შენობების სიმრავლით. ქალაქის ვიცე მერს კოტე თოფურიას თუ ვენდობით, ამ საკითხებზე ქალაქის ხელისუფლება ინტენსიურად მუშაობს. მან ისიც გაავიხილა, რომ ყოფილი 1902-1910 წლებში გერმანელი ინჟინერ-მშენებლის ედმუნდ ფრიკის მიერ აგებული შენობა უკვე წლებია მესაკუთრის მიერ მიზანმიმართულად და ხელისუფლების გულგრილობით დანგრევის საშიშროების წინაშე დგას. საუკუნოვანი შენობისათვის ყოველი გასული დღე მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ნაგებობაში, რომელიც სხვადასხვა არქიტექტურული დეტალებით, კონფიგურაციებით, დეკორატიული და მხატვრული ელემენტებით ხასიათდება, ჩამოშლილია ფასადი, ჭერი, დანგრეულია კედლების ნაწილები, კიბე, სარკმლები და სახურავი. ფრიკის აგებულ უნიკალურ შენობას წარსული დიდების წამშლელი ხეივანი მცენარეები შემოსხვავია.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული შენობა 2007 წელს 125 000 ამერიკულ დოლარად კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანია „ველაჯიოზე“ გასხვისდა. პროცესიდან რამდენიმე თვეში, 2008 წელს, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა, რამაც თავისთავად შეზღუდვები დააწესა მფლობელს და როგორც სხანს, უინტერესო და არამომგებიანი აღმოჩნდა მისთვის. იმასაც ამბობენ, რომ სახურავი მფლობელმა მიზანმიმართულად ჩაანგრია, მისი დაშლის მიზნით. ამ დანაშაულებრივი ქმედების გამოძიება ადგილობრივ ხელისუფლებას არ უცდია. ზემო-

თაღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში, შენობა ქალაქს დაუბრუნდებოდა. კითხვაზე - რა ეშველებოდა დანგრევის პირას მისულ შენობას, მაშინდელი ხელისუფლების პასუხი მუდმივად ერთი იყო - კერძო საკუთრება და ჩვენ არაფერი შეგვიძლია, არც გვაქვს ბიუჯეტში შესაბამისი თანხაო.

კანონი თვითმართველობის შესახებ - მუხლი 31, პასუხისმგებლობა ძველის დაზიანებისა და განადგურებისათვის, პირდაპირ მიუთითებს, რომ ძველზე განზრახ იმგვარი ზემოქმედების მოხდენა, რის გამოც ძველს ემუქრება გამოუსწორებელი დაზიანება ან განადგურება, გამოიწვევს პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ კანონის გამოყენების შემთხვევაში, ადგილობრივ ხელისუფლებას ძველის ქალაქისათვის დაბრუნების შესაძლებლობა ექნებოდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ამ საკითხით დაინტერესებას მიესალმება საკრებულოს წევრი მაია ჩხარტიშვილი, რომელიც ფოთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების საკითხზე 2015 წლიდან მუშაობს, თუმცა ეჭვიც ეპარება ინფორმაციის რეალობაში: „ასე ადვილად არ გვარდება ასეთი საკითხები. როდესაც დავიწვევ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად მუშაობა ფოთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციისა და გადარჩენის მიზნით, გავცანია მიწერ-მოწერას ქალაქსა და სააგენტოს შორის, რომელიც, ძირითადად, იყო ერთი და იგივე შინაარსის კითხვა პასუხი. უნდა გამოვეყოთ ორი მიმართულება, ერთი მიმართულებაა, რას აკეთებს ქალაქი მის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების გადარჩენად და მეორე, რას ითვალისწინებს კანონმდებლობა, როგორც გავარკვიე, შენობის მესაკუ-



თრეს არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროსთან ძველის მოვლა-პატრონობის შესახებ. ყველა სანქცია, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, მხოლოდ მას შემდეგ იწვება, როცა გაფორმებულია ხელშეკრულება“. ჩხარტიშვილის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში ჩასვლის შემდეგ დაიწყო შენობის მესაკუთრის კომპანია „ველაჯიოს“ და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ურთიერთობა, რის საფუძველზეც „ველაჯიო“ კულტურული ძეგლის მოვლენის მიზნით გამო, უფრო სწორად, ხელშეკრულების მუხლის დარღვევის გამო, 10 000 ლარით დაჯარიმდა. „ყოველთვის მინდოდა მერთან ან მერთის წარმომადგენელთან თანხიერების რეჟიმში საუბარი უშიშროების, ტელევიზიის, პიდრომელორაციული ინსტიტუტის, სამშობიარო საავადმყოფოს თუ კინო-თეატრის შენობებზე, თუმცა, ეს არასდროს მოხერხდა რატომღაც. 2018 წლის მარტის ბოლოს, ქალაქის მერს გონა კურდღელიას ვესაუბრე და ვუთხარი, რომ ვიყავი ამ თემებზე ნამუშევარი და გარკვეულ შედე-

გამდე ვიყავი მისული და მზად ვიყავი გადამეცა ყველა დოკუმენტი, რათა მათ გავერძელებინათ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, საქმის შესასწავლად ათი დღე ითხოვა მერმა, თუმცა, მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. მოხარული ვიქნები, თუ შენობა გადმოეცემა ქალაქს. რამდენადაც ვიცი, სამართლებრივ დავა ჯერ არ მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, საკითხავია, რის სანაცვლოდ გადმოეცემა ქალაქს ძეგლი“- ამბობს ჩხარტიშვილი. რაც შეეხება ყოფილ ტელეკომპანია „ფაზისის“ შენობას, რომლის მხოლოდ ერთი კედელია დარჩენილი და ისიც რღვევის პირასაა. თოფურიას თქმით, მოძიებულია მესაკუთრე, გაგზავნილია შეტყობინება, რომ სასწრაფოდ მოახდინოს რეაგირება: „ველოდებით პასუხს, რომლის შემდეგ მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა სათანადო ზომებს დაბრუნების ჩათვლით“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ტელევიზიის მფლობელთან ურთიერთობა. შენობა შპს „ქორაღ თაყურის“ საკუთრებაა. კომპანია ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული. ამ შემთხვე-

# რეპრესირებული ოჯახის შთაშობაველი სახელმწიფოს ელაპიანი


## ივანე პაპიანი

საბჭოთა რეჟიმის დროს განხორციელებულმა რეპრესიებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, განსაკუთრებით დიდგვაროვანთა ოჯახები. ჩვენი გაზეთის სტუმარი რეპრესირებული და წლების შემდეგ რეაბილიტირებული ოჯახის შვილიშვილი, სენაკელი მაგდა კარტოზია, რომელიც წლებია, სამართლის ძიებაშია. მაგდა 1937 წელს რეპრესირებული აზნაურის ლუკა ჟვანიას შვილიშვილი გახლავთ, რომელიც გაასამართლა სსრ უმაღლესმა სასამართლომ სსკ-ის 58-2,58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. გათავისუფლებიდან ორი წლის შემდეგ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დადგენილებით ლუკა ჟვანიას სამუდამო გადასახლება მიესაჯა. 1951 წელს ლუკა ჟვანია გადასახლებაში გარდაიცვალა. 1960 წელს სსრ უმაღლესმა სასამართლომ იგი რეაბილიტირებულად სცნო, ხოლო 1998 წელს ვაკის სასამართლომ ლუკა ჟვანია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარა. ლუკა ჟვანიას დაკავების შემდეგ მისი ქონების ნაწილს დაეპატრონა ჟვანიების რუსი მოსამსახურე ოლია ბალაგენკო, ხოლო ორსართულიანი სახლი თავისი მამულებით გადაეცა სახელმწიფოს და სხვადასხვა წლებში განთავსებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში. 1942 წელს მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი სახლი ოლია ბალაგენკოს თავის საკუთრებად გამოაცხადა და ნოტარიუსის დახმარებით დაიმტკიცა კიდევ სახელმწიფოს მიერ ხალხის ქონებად გამოცხადებული ადამიანების ქონების დამტკიცება ადვილი გამოდგა შინამოსამსახურისათვის.

აღნიშნული სახლი ლუკა ჟვანიას მემკვიდრეობით, მამიდისგან, ექიმ მარია (მაია) გოჯოს ასულ ჟვანიასგან ერგო. მაგდა კარტოზია სახელმწიფოსაგან და ბაბუის მამიდის მოსამსახურის შთამომავლებისაგან ქონების დაბრუნებას ითხოვს.

ჟვანიებს ხელთ აქვთ 1918 წელს მაია ჟვანიას მიერ დატოვებული ანდერძი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ სენაკის მაზრაში მის სახელზე არსებული მამულები, აგრეთვე ორსართულიანი სახლი და მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი ერთსართულიანი სახლიც მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცემოდა მის ძმისშვილს და ერთადერთ მემკვიდრეს ლუკა ჟვანიას. ანდერძში ასევე მოხსენიებულია მაიას მოსამსახურე ქალი ოლია ბალაგენკო, რომელსაც მფლობელობაში გადაეცა - „ორი ქვეშაგებელი, ერთი ფარდაგი, ერთი კედლის ხალიჩა“. ასევე, ოლიას ეძღვნება იქ ცხოვრების უფლება. ანდერძი ძალაში მისი სიკვდილის შემდეგ უნდა შესულიყო. მაია 1924 წელს გარდაიცვალა.

მაგდა კარტოზია როგორც ამბობს: „მაია ჟვანია სენაკის ცენტრში, ჟვანიების საგვარეულო სახლში, ბაბუა ლუკა ჟვანია და მისი ოჯახი კი კონსტანს ქუჩაზე ცხოვრობდნენ, მაიას პირდაპირი მემკვიდრე არ ყავდა, ამიტომ მისი ერთადერთი მემკვიდრე ბაბუა იყო. ჩემი წინაპრებიდან სამახსოვროდ მხოლოდ დადიანების ნაწილები ბროლის ქუჩეზე დამრჩა, რომელიც 200 წლის წინ პოლონეთის მთიდანაა ჩამოტანილი. ექვმე ოლია ბალაგენკოს შვილიშვილია პარკიას, რომელმაც მოატყუა სახელმწიფო და ადამიანის ოჯახი და ვითომ მისი ეზოს მიყიდვის შემდეგ სენაკიდან წავიდა. მას ჩემი შეემინდა, რადგან მე ხელთ მაქვს ყველა დოკუმენტი ბაბუისგან ქონების შესახებ. პარკიას ეზოს გაყიდვის შემდეგ შემთხვევით შევხვდა ქუჩაში და ვკითხე, რატომ გაყიდა ჩვენი კუთვნილი მიწა, რა საბუთები ქონდა? ის გაიტყა და არ ვიცოც, სად არის. ამ სააქმეში იკვეთება არა მარტო ოლია ბალაგენკოს და ნაშაულებრივი ქმედება, არამედ მისი შთამომავლებისა და ნოტარიუსის უკანონო ქმედებები. 1942 წელს ნოტარიუსმა ოლია ბალაგენკოს უკანონოდ, უსაბუთოდ გაუფორმა სახლი და მიწა, უფრო სწორედ ჩემი ბაბუის კუთვნილი სახლ-კარის ნაწილი. ამ შემთხვევაში მე ვედავები სახელმწიფოს, ასევე



ოლია ბალაგენკოს შთამომავალს და ნოტარიუსს, რომელმაც უკანონოდ გაუფორმა სახლი ოლიას. მან, სანამ სახელმწიფო უწყება მამიდას სახლს მოაღებდა, სახლიდან ყველაფერი გაზიდა და ჩეისტებს ცარიელი სახლი დაახვედრა. ოლია ბალაგენკო იყო რუსეთიდან ჩამოსული ქალი, რომელიც შეიფარა ბაბუას მამიდა მაია ჟვანიამ, მასთან შინამოსამსახურედ მუშაობდა და სახლის ეზოში მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა. მამიდას ანდერძში თანახმად, ოლია ბალაგენკოს შეეძლო სიცოცხლის ბოლომდე ეცხოვრა იმ პატარა სახლში. ოლია ბალაგენკოს ყავდა ერთი გოგო, რომელსაც ასევე ვეოლა გოგო ლია პარკია, რომელმაც ბებიის მიერ მისაკუთრებული ეზოს ნაწილი, სადაც ადრე პატარა სახლი იდგა, ადამიანის ოჯახს 9 ათას დოლარად მიყიდა. ერთსართულიანი სახლი დაიწვა და ცხაკაისი საქალაქო ადმინისტრაციამ მათ კონვენსაციის სახით 760 მანეთი მისცა. უსამართლობა არ არის, ჟვანიების ქონებას ბალაგენკოს შთამომავალი განაგებდეს, სარგებელს იღებდეს და კომპენსაციასაც კი იღებდეს და ლუკას ოჯახს, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს, კონვენსაციის სახით მხოლოდ 370 ლარს აძლევდნენ? ადამიანის ოჯახი ჟვანიების სახლში

საცხოვრებლად 1974 წელს სენაკის ადმინისტრაციამ შეასახლა მას შემდეგ, რაც მათი სახლი, ქალაქის რეაბილიტაციის მიზნით, დაანგრეს.

მაია ჟვანიას მემკვიდრეობაზე წლებია, დავობენ ლუკა ჟვანიას შვილები თამარ და ოთარ ჟვანიები, რომელთა მინდობილი პირი გახლავთ თამარ ჟვანიას შვილი მაგდა კარტოზია.

2011 წელს ოთარ ჟვანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა (საქმ №3/1640-11) მოთხოვნით, პოლიტიკური რეპრესიებიდან გამომდინარე, მიეღო ფულადი კომპენსაცია 14 000 ევროს ექვივალენტი ლარში. რამდენად სასაცილოდ უნდა გამოიყურებოდეს, მოსამართლემ ფინანსთა სამინისტროს რეპრესირებულების ოჯახის სასარგებლოდ 370 ლარის გადახდა დაეკისრა. როგორც ნანს, საქართველოში რეპრესია მეტი არ ღირს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციით.

ჟვანიების ოჯახი კვლავ სამართლის ძიებაშია. მაგდას თქმით: „დედა ვიდრე ცოცხალია, მინდა ეს საწუქარი გავუქუთო და რაიმე შედეგს მივაღწიო. მსურს, მივმართო ყველას, ვისაც შეუძლია, დაემხროს სამართლის აღდგენაში“.

## ყოფილი უშიშროების შენობა ქალაქს დაუბრუნდება?!

ვაშიც ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლო გამოეყენებინა კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი. სადაც წერია, რომ თუ ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) დადგენა ან მიგნება ვერ ხერხდება, სამინისტრო უფლებამოსილია, მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) თანხმობის გარეშე, უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით ჩაატაროს ძეგლზე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სამუშაოების ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) თანხმობის გარეშე ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო, წამოეწყო და და დაეკონსერვებინა შენობა. აუცილებელია ბიზნესი განვითარდეს, ინვესტიორი შემოვიდეს ქალაქში, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ამით ხიანი არ უნდა მიადგეს ქალაქის ღირსესანიშნაობებს. ფოთში თითქმის ყველა მიტოვებული შენობის თუ გასხვიებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უკან კომპანია „ვისოლ ჯგუფი“ დგას, რომელმაც როგორც ფოთის, ასევე სახელმწიფოს მიმართ, უპასუხისმგებლობა გამოიჩინა.

ერთ-ერთი ფუნქციური შენობა, რომელიც „ვისოლ ჯგუფს“ ეკუთვნის ავტოსადგურის შენობაა, რომელიც არაკლებ მძიმე პრობლემების წინაშეა. ეს ის ადგილია, რომელიც ჩამოსულ სტუმარში ქალაქის მიმართ არა აღტაცების, არამედ სიბრაღის გრძობას იწვევს. სადგურის დირექციის თქმით, იჯარით აქვს აღებული შენობა, სხვის გადასახე მქონე შენობის გარემონტება არ შეუძლიათ და არც აქვთ ამის

## ჰიდროელექტროსადგამი შენობის რეაბილიტაცია იწყება მითი თუ რეალობა

საშუალება. მფლობელს კი, ყველა ზემოთქმული ნაკლებად აინტერესებს. ვიცე მერ თოფურიას თქმით, ამ პრობლემის მოგვარებაც დაწყებული აქვთ: „ავტოსადგურის შენობაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება მეპატრონესთან. შემოდის ვიქტორი, რომ ყველა მიმართულებითაა ნაბიჯები გადადგმული. შემოდის ახალი რეგულაციები ავტოსადგურების შესახებ. შესაბამისად, კანონი დაავალდებულებს ავტოსადგურის მოწესრიგებას. ჩვენ ვაგაგზავნით გაფრთხილების წერილები. არავის მიმართ არ ვიქნებით ლოიალურები, არსებობს ბერკეტები, რომელსაც გამოვიყენებთ. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა ქალაქს შევუნარჩუნოთ ის, რაც გვაქვს. კინოთეატრის შენობაც „ვისოლ ჯგუფს“ ეკუთვნის. შენობის მესაკუთრეს საკმაო რაოდენობით ჯარიმები აქვს დაკისრებული ფოთში მიტოვებულ შენობებზე. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რომ რაღაც ვაღებდებოდეს შენობის სანაცვლოდ დაიწყო აქტიური მუშაობა. რაც შეეხება ყოფილი უშიშროების შენობას, სულ მალე მესაკუთრის პასუხი გვეცოდინება და ვფიქრობ, ეს შენობა დაუბრუნდება ქალაქს. ეს უნიკალური შენობაა უზარმაზარი ისტორიით და პოტენციალით. ამიტომ მისი ხელიდან გაშვება ჩვენითვის მიუღებელია. არ ვიცი, თავიდან როგორ და რა პირობებით გაიყიდა, მაგრამ ფაქტია, რომ შენობა ქალაქს უნდა დაუბრუნდეს. თავდაპირველად მოხდება შენობის კონსერვაცია, რომელიც, სავარაუდოდ, 400 ათასი ლარი დაჯდება, შემდეგ კი აღდგება პირვანდელი სახით“.

## დასაწყისი 2-33.

ბით. ამასობაში, ქართველი მეწარმეებმა უნდა შექმნონ და გააკეთონ ფლოტილია, რომელიც მოემსახურება ამ ბიზნესს. ბათუმში არსებული სასწავლებელი დღევანდელ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, რამდენადაც ორიენტრებული არ არის ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისკენ, ის განხლავთ შორეული ნაოსნობისთვის განკუთვნილია.

ფუნქციის მინიჭებასა და უნივერსიტეტის სტატუსის აღდგენა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გახლავთ. თუმცა, ამაზე საუბარი ალბათ ნაადრევია, ვიდრე არ ჩატარდება ექსპერტიზა მის გასარკვევად, რამდენად მყარია შენობა: „შენობის მდგრადობის საკითხი შესაბამისი სპეციალისტების გადასაწყვეტია, რომლებიც მოვიწვიეთ კიდევ. როგორც თქვენ, ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და საკმაოდ ორიგინალური შენობაა. ჩვენი მოთხოვნაა, რომ პირველადი იერ-სახე მაქსიმალურად შენარჩუნდეს, რასაც იზიარებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოც. ამ პროექტს სჭირდება კვლევები, რომლის შემდეგაც დადგინდება ზუსტად, რამდენად შენობა მდგრადია, ან რას საჭიროებს. კვლევის შედეგად გამოჩნდება, როგორ უნდა დაპროექტდეს შენობის რეაბილიტაცია. შემდეგ პროექტანტს დაევალება, ჩაატაროს ექსპერტიზა კედლების, საძირკვლის, ნესტის, გეოლოგიის, პიდროლოგიის და ა.შ. რაც კი შეეხება შენობის 100 % მდგრადობას. მიზანშეწონილი არ არის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩაატაროს ექსპერტიზა, ჩვენ მხოლოდ გავუწევთ უკლებლად

ლობას“ - გვითხრა თოფურიამ.

როგორც გავიგეთ, არსებობს სხვა მოსაზრებაც - შესაძლოა, შენობის დემონტაჟი განხორციელდეს და აშენდეს ავთენტური შენობა, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის შენარჩუნება სადავო გახდეს. მერის მოადგილემ ამაზეც ამომწურავი პასუხი მოგვაწოდა: „ინფრასტრუქტურული განვითარების სააგენტოს (განათლების) წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მშენებლობაში არსებობს ცნება - რამდენად რენტაბელია შენობა. ეს გულისხმობს, უნდა დაიშალოს არსებული ნაგებობა და აიგოს ახალი, თუ მისი დღევანდელი სახით რესტავრაცია მოხდეს. რომელი უფრო სწორი გადაწყვეტილება იქნება ფინანსების სააგენტოს წარმომადგენლებმა დაგვიდასტურეს, რომ არის საკმაოდ მდგრადი, კედლებზე ბზარიც კი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ საძირკველი მყარია. არსებობს მხოლოდ სართულს შორის გადახურვის პრობლემა, რაც არ შენარჩუნებულა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ეს შენობა არის მყარი“.

როგორ გადაწყდება შენობის ბედი, ექსპერტები იტყვიან. ჩვენ კი ვიტყვი, რომ ამ იდეის განხორციელება სასიკეთო იქნება არა მარტო ჩვენი ქალაქის, რეგიონის ახალგაზრდებისთვის. მათ საშუალება მიეცემათ შეისწავლონ საქმე, რომელიც თავიანთ ქალაქში დასაქმდებიან. ქალაქს დაუბრუნდება მამობრავებული ძალა - ახალგაზრდობა და იგი მიიღებს ახალ ხელისუფლებას იმპულსებს.

# ესტონეთში ნარჩენების მართვა მოგვაჩინა ბიზნესად ითვლება

## ინგა გვანასალია საინჟინერო-სამშენობლო

განსაკუთრებით ბოლო წლებში ნაგავი მსოფლიოსთვის თავსატეხი გახდა, რადგან ყოველწლიურად იზრდება პროდუქციის მოხმარება, შესაბამისად ყველა სახის ნარჩენების რაოდენობაც იზრდება.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ევროკავშირმა ნარჩენების გადამუშავების საკმაოდ ეფექტური სისტემა შეიმუშავა. 2001 წლის 15-16 ივნისს ევროპული საბჭოს მიერ დამტკიცებულ მდგრადი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ეკონომიკური ზრდის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და ნარჩენების დონეს შორის ურთიერთობა უნდა იყოს პროპორციული. ამავე დოკუმენტით 2000 წლიდან 2010 წლამდე - 20% -ით და 2050 წლისთვის 50% -ით ნარჩენების მოცულობის შემცირებაც დაგეგმილია. 2004 წელს ევროკომისიამ დაიწყო მუშაობა ნარჩენების გამოყენებისა და ნეიტრალიზაციის პრობლემის შესახებ. შედეგად, ჩარჩო დირექტივა გამოიცა 2006 წლის 5 აპრილს.

საქართველო კი ახლა იწყებს ამ სისტემაში ჩართვას. ამ გზას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაადგა. არსებობს დოკუმენტები - საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-

2030) და ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016- 2020), რომლებიც 2016 წლის აპრილში დამტკიცდა. 2017 -2018 წლებში მიიღეს საქართველოში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმებიც (2017- 2021).

ყოველწლიურად, ევროკავშირში მხოლოდ 13 მილიარდი ტონა ნარჩენი გენერირდება. ეს არის დაახლოებით 3.5 ტონა რეზიდენტი.

ნარჩენების სეპარირების სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი წარმატებული პოლიტიკა გერმანიამ გაატარა.

კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითია იაპონია, სადაც ნარჩენების მართვის სისტემა იმდენად დახვეწილია, რომ ქვეყანაში დაკონსერვებული გადასამუშავებლად უვარგისი ნარჩენებისგან ხელოვნურ კუნძულებსაც კი აკეთებენ.

გერმანიის ეკონომიკური ინსტიტუტის მიერ 2005-2014 წლების კვლევის თანახმად, ნარჩენების გადამუშავება ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად გაიზარდა: პოლონეთში 2.9%, იტალიაში - 2.6%, კვიპროსში 2.4% უნგრეთში - 2.3%, ჩეხეთში - თითქმის 2.2%. ლიდერი იყო ლიტვა, სადაც ამ პერიოდში ზრდა 3% -ზე მეტი იყო. მაგრამ ავსტრიაში ფიგურა 0.3% -ით დაეცა და ფინეთში 0.1% შეადგინა. ესტონეთშიც არაერთი ნაბიჯი გადადგა ეფექტური ნარჩენების მართვაზე. ნარჩენების მართვა ესტონეთში დღეს მომგებიან



ბიზნესად ითვლება.

ესტონეთში დანერგილი ტექნოლოგიური სიახლეების ადგილზე გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა, მაშინ, როცა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ესტონური ცენტრის მიწვევით, რეგიონული მედიის წარმომადგენლები ვიმყოფებოდით ტალინში.

ტალინის გადამამუშავებელი ცენტრი უკვე ხუთი წელია არსებობს, მის განვითარებაში უდიდესი, ფინანსური წვლილი ევროკავშირს მიუძღვის. იგი ოთხ რაიონს ემსახურება. ცენტრის ტერიტორია 67 ჰექტარია. ყოველ წელს მინიმუმ 120

ათასი ტონა ნაგავი ენერგო საჭიროებისთვის მუშავდება და ბიოგაზის სახით მისი გაყიდვა 50 000-100,000 ევროს შეადგენს. აქ შერეული ნარჩენები - მეტალის, ქაღალდისა და მუყაოს, მინის პლასტიკატისა და მანქანის ნარჩენების გადამამუშავებელი მიმდინარეობს. საყოფაცხოვრებო ნარჩენები მუშავდება ენერგეტიკულად და გადაიტყვევა კომპოსტად.

ასევე ვიმყოფებოდით კომპანია „ესტი პანდიპაკენდში“, რომელიც ნარჩენების გადამამუშავების დეპოზიტური სისტემით მუშაობს. ნარჩენების გადამამუშავების დეპოზიტური

სისტემის მუშაობის პრინციპი ასეთია: მოქალაქე, რომელიც უაღკაპოლო სასმელს ან ლუდს ყიდულობს, დამატებით იხდის ტარის ღირებულებას, რაც 10 ევროცენტია. მყიდველს შეუძლია უკვე ცარიელი ტარა ადგილობრივ სუპერმარკეტებსა და მცირე მაღაზიებში განთავსებულ დეპოზიტურ აპარატებში განთავსოს და მასში გადახდილი 10 ევროცენტი უკან დაიბრუნოს. დეპოზიტის აპარატებში განთავსებული ტარა კი მეორად გადამამუშავებას ექვემდებარება და მისგან სხვადასხვა პროდუქცია - მათ შორის ტანსაცმელიც მიიღება.

## საქართველოსგან განსხვავებით, ესტონეთში

## ფერმერობა დიდი მოგვაჩინა საქმიანობაა

ესტონეთში რძის ერთ-ერთ მსხვილ მიმწოდებელ ფერმად - Vändra OÜ სახელდება, რომლის ერთ-ერთი მესაკონტრონე 69 წლის ფერმერი იან ტოპოლი გახლავთ. ფერმა ყოველწლიურად 300 ტონა რძეს აწარმოებს. ფერმის წლიური ბრუნვა 6 მილიონზე მეტია, ხოლო მოგება წელიწადში მილიონ ევროს აღწერს.

ფერმა მდებარეობს ტალინსა და საკურორტო ქალაქ პარნოს შორის. როგორც იან ტოპოლი გვიხსნის ფერმას ოთხი ძირითადი აქციონერი ჰყავს. მისი თქმით, ბრუნვა წელიწადში 6,200,000 ევროს შეადგენს, ხოლო 2018 წელს მხოლოდ შემოსავალი 1,300,000 ევრო შეადგენა. თითო ტონაზე რძის ფასი 320 ევროა.

იანის ნაამბობიდან ირკვევა, რომ საქართველოსგან განსხვავებით ესტონეთში ფერმერებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებული ბაზა შეინარჩუნეს და კოოპერატივი შექმნეს. 2004 წლიდან, როდესაც ესტონეთი ევროკავშირის წევრი გახდა,

სხვა ფერმერების მსგავსად, იანმაც კრედიტი აიღო, ფერმა შეისყიდა და წელში გასწორდა. გამოცდილებისა და სისტემის უკეთ გასაცნობად ამერიკაშიც კი წავიდნენ, რათა ესტონეთშიც დაენერგათ სიახლეები.

ტოპოლი ამჟამად ფერმას სხვა 30 მდე თანამშრომელთან ერთად უძღვება. განსაკუთრებული ყურადღება საქონლის კვებას, ჯანმრთელობასა და რძის ხარისხს ენიჭება. იანის ფერმაში შვეიცარიული ჯიშის ძროხები უხვი და სრულფასოვანი კვების ფონზე წარმოებული ხელექციით წველადობით ყველა სხვა ჯიშს აღემატება. კუროს საშუალო ცოცხალი მასა 900-1000 კგ-ს უდრის, ფურისა 680-700 კგ-ს.

როგორც იანმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა აღნიშნული საქმიანობა წლების წინ სულ რამდენიმე საქონლით დაიწყო, დღეს კი მის ფერმაში პირუტყვი 1500 მდე აღირიცხება. ცალკე ბოძოლებიდან ორი კლასი მუშაობს. პირველი მათ დედის რძიდან მყარ საკვებზე გადასვლაში ესმა-



რება. 5 თვის შემდეგ ბოძოლები სხვა ძროხებთან ერთად გადაყავთ, სადაც მათი ჯანმრთელობისათვის კვების სპეციალურ პროგრამაში ერთვებიან. ერთ-ერთი აქციონერის, ენ ბერკმანის, თქმით „ჩვენ შევქმენით ძველი ფერმის ბაზაზე

ახალი, თანამედროვე ფერმა შეგვექმნა. ცხადია, სირთულეები ისევე გვაქვს. გადაიარაღება მუდმივად არის საჭირო. 25 წლის წინანდელი ცოდნა საკმარისი აღარ არის. თუმცა ფაქტია, რომ ჩვენი წარმოებული რძე ხარისხიანი და გემ-

რილია“. მიუხედავად ასეთი მომგებიანი საქმიანობისა იან ტოპოლი პენსიაში გასვლისათვის ემზადება და სავარაუდოდ ფერმაც ახალი მფლობელის ხელში გადავა.

გლიზ ინტერვიუ

თენგიზ ხუხია: „ქალაქი, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება შველა,,

- მინი დოსიე
- თენგიზ ხუხია
- დაახასიათეთ საკუთარი თავი სამი სიტყვით
- თენგიზ თენგიზის ძე
- საიდან იწყება თქვენთვის დედამიწა ?
- ჩემი სახლიდან, ქალაქიდან, ქვეყნიდან
- თქვენი თვალით დანახული ქალაქი..
- ქალაქი, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება შველა
- მიზანი
- გეჭონდეს მსოფლიოში ყველაზე მაგარი თეატრი და ქალაქი
- მიღწევა
- ფოთის თეატრი, ფოთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი.
- ჰობი
- ახალ პროექტზე მუშაობა
- ოცნება
- ქართველები დაუბრუნდნენ თავიანთ მიწაწყალს, მთას, ბარს.
- ღირსება და ნაკლი
- რელიგიური მრწამსით შეგვიძლია პატიება, მაგრამ არასდროს არ ვივიწყებთ ამას. იტყვიან.
- ქველმოქმედება და თქვენ
- ქველმოქმედება სიამოვნებაა
- რას შეცვლიდით ცხოვრებაში
- უფრო მეტ უცხო ენას შევისწავლიდი
- ტყუილი და თქვენი
- ზოგჯერ მიწვევს მოსმენა
- რისი გეშინიათ ?
- იმედ გაცრუების
- რამ შეიძლება აგაყვიროთ
- გულგრილობამ, არაპროფესიონალიზმმა
- აკვიატებული ფრაზა
- ჯერ სად ხარ
- რამდენად აზარტული ხართ?
- თეატრში ახლის კეთების სურვილი
- საყვარელი სასმელი
- დვინო, ბორჯომი
- კერძი, რომელსაც საყვარელ ქალს მოუშადავდით
- მწვანე სალათს.
- წიგნი, რომელიც ბოლოს წაიკითხეთ.
- ომი და მშვიდობა
- მცნება მეგობრობა - როგორი მეგობარი ხართ .
- ყველა გრძობა პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა. მეგობრობა ყველაზე დიდი კორატიულია-ან მეგობრობ ან ვერა.
- ის რაც არასოდეს დაგავიწყდება
- არ დამავიწყდება არაფერი
- სიყვარული ეს არის...
- სიყვარული ღვთის მადლია
- ის, რასაც ყველაზე მეტად აფასებთ ადამიანში
- ადამიანობას, პროფესიონალიზმს, მეგობრობას, სიყვარულს
- როგორ წარმოგიდგინიათ საკუთარი თავის 20 წლის შემდეგ
- 60 წლის თენგიზ ხუხია
- რომ არა თეატრის დირექტორი, სად იმუშაებდით?
- ერთხელ მეგობარმა იხუმრა, კიდევ კარგი თენგიზ თენგიზის ქარხნის დირექტორად რომ არ წავიდა, თორემ თენგიზს შემაყვარებდაო.
- მხატვარი, რომ იყოთ რას დახატავდით ?
- ძალიან ლამაზ ქალაქს, როგორც მინდა რომ ვნახო
- კითხვა რომელსაც საკუთარ თავს დაუსვამდით
- უკვე 27 შეკითხვას გავეცი პასუხი
- გრძობა რომელიც ამ წამს გაქვთ?
- ყველაფერი კარგად იქნება

საერთაშორისო ტურნირი კარატე დო-ში

თბილისში ქართული კარატის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით კარატე დო-ში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ: არაბეთის, ეგვიპტის, იტალიის, ყაზახეთის, მოლდოვის, რუმინეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის და საქართველოს სპორტსმენები. სულ 300 მონაწილე.

ფოთიდან მონაწილეობა მიიღო ოთხმა მონაწილემ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: ლუკა ბართაიამ, რომელიც ასპარეზობდა 10-11 წ.წ. კარატესტებს შორის და საბა ცაავამ - 16-17 წ.წ. სპორტსმენებს შორის.



საერთაშორისო რეგატა კანოე კაიაკში

აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო რეგატა კანოე კაიაკში გაიმართა, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ფოთელი ნიხოსნები: ლილია სულაბერიძე, ლუკა დობორჯგინიძე, გიორგი გაგუა. მისასაღებელია ის გარემოება, რომ საერთაშორისო რეგატაზე ფოთელებმა წარმატებით იასპარეზეს.

ლილია სულაბერიძე - I ადგილი, 200 მ. და 500 მ. გაცურვაზე (ერთადგილიანი). ლუკა დობორჯგინიძე - I ადგილი, 1000 მ. გაცურვაზე (ორადგილიანი); II ადგილი, 500 მ. გაცურვაზე (ერთადგილიანი). გიორგი გაგუა - I ადგილი, 500 მ. გაცურვაზე (ორადგილიანი); II ადგილი, 500 მ. გაცურვაზე (ერთადგილიანი).



საერთაშორისო ტურნირი კრიკეტი

უკრაინის ქალაქ ხარკოვში კადეტ მოკრივეთა შორის, საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც ნაკრების ღირსებას იცავდნენ კრივის სასპორტო სკოლისა და ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბ „ლიდერი“-ს მოკრივეები საბა ტყეშუავა, ირაკლი ჯანელიძე და გენო ხავთასი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფოთელმა მოკრივეებმა ხარკოვის საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს ერთი მეორე და ორი მესამე ადგილები.

საბა ტყეშუავა - II ადგილი, 50 კგ წონითი კატეგორია, მწვრთნელი ლაშა ონიგავა. გენო ხავთასი - III ადგილი, 52 კგ წონითი კატეგორია, მწვრთნელი გონა რუსია. ირაკლი ჯანელიძე - III ადგილი, 70 კგ წონითი კატეგორია, მწვრთნელი თემურ ონიგავა.



რეგიონალური პირველობა ხელბურთში

ზუგდიდში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობა ხელბურთში 2002-2004 წლებში დაბადებულ საჯარო სკოლების მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის. პირველობაში მონაწილეობდნენ: ნოსირის, მარტვილის სოფელ ლედეგებს, ზუგდიდის 2 და ქალაქ ფოთის 2 საჯარო სკოლები.

ვაჟთა შორის ფოთელი მოსწავლეები პირველ ასპარეზობაში დაუპირისპირდნენ სენაკელ თანატოლებს და მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 15:7 და ფინალურ ორთაბრძოლაში შეხვდნენ ზუგდიდის 2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს. თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. მომენტები იქმნებოდა ხან ერთ, ხან მეორე კართან. ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წინებულად გაართვეს თავი და მოიპოვეს გამარჯვება 15:10. ხოლო გოგონებმა პირველი ორთაბრძოლა გამართეს მარტვილელ თანატოლებთან და ასევე მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 18:2 და ფინალში დაუპირისპირდნენ ზუგდიდის 2 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:7.

ამრიგად, 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, როგორც გოგონები, აგრეთვე ვაჟები გახდნენ რეგიონალური პირველობის გამარჯვებულები და მოიპოვეს ზონალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება, რომელიც გაიმართება წყალტუბოში, აპრილში.

*რეკლამა*

# კასი, რომელსაც ქვეყანა გულით დაჰქონდა

(ექვნიება მუკან ალქსანდრიას ხსოვნას)

არ შეიძლება ყველა ნასული ერთი მებრით გაზომო, არიან ღიღუბული ადამიანები, რომლებიც ჩვენად უზიდავიან ჭაანს, უხმოდ, უხმოდ იბრძვიან აროვნული ინტერესებისთვის, სიკეთეს თესავენ და თავს გამახსოვრებენ ინდივიდუალურობით და უნიკალურობით...

**ველარ გვატიმოზ ადრე გაპარვას ვერ უპატრონე მამულს დაფლეთილს, ქართული მზისგან სულავესაბული რად ვეალები მინის ნაფლეთებს?!**

**ვერ ვიტან სიზვეს- გარდაიხველა ან მიიძინა... და და მიიხველა თუმცა უკვდავი არავინაა გვერმა იფრინა; გვერმას ინველა; მზეს გაეცალა, ფერი იხველა ისე უბრალოდ გარდაიხველა.**

**მინა, რომელიც ახლა შენია გაგლეჯილი და მაინც ქართული, უშენოს მებრ რა დარჩენია, აქვანს დაურწევს ახალ სახელებს. თუ რავე მნამდა საქართველოსი უნდა ვეაღლო შენებრ ქართველებს.**



**გვერი ვარსკვლავი ქიაფოზს ცაზე: ცოტნე, ერეკლე, თორნიკე, თომა შენ კი ქვეყანა გულით დაჰქონდა და მენაება ამგვარი კვლოვა.**

ნესტან ხურცილავა

<p><b>გაზეთის ხელმოწერათა საყურადღებოდ!</b></p> <p>ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის</p> <p>1 წლით - 50 ლარი</p> <p>6 თვით - 25 ლარი</p> <p>3 თვით - 12,50 ლარი</p> <p>კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის</p> <p>3 თვით - 6 ლარი</p> <p><b>იკითხეთ გაზეთი შთქვეყნიერული</b></p>	<p>გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ ინვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შევლებ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19</p> <p>ტელეფონი: 599 34 14 17</p>	<p>გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაჟირებაზე ინვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოსდილება ქურნალისტიკაში წარმატებული სტაჟირები დასაქმდებიან გაზეთში. ღანტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19</p> <p>ტელ: 599 34 14 17</p>
---	---	--

ისარგებლეთ გაზეთ „მთავარი თემა სამეგრელოში“ უფასოაქტიური მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განსხვავებული რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განსხვავებული მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციის, სურათიანი განსხვავებული: სამგლოვიარო - 15 ლარი, მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (100სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მესამე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, გოლოვა- სამჯერ ძვირია ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორგანიზაციის მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამომცემის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამომცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17.

**შთქვეყნიერული თქვენი პრობლემების კვლადაკვალ**